ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიში

<u>მომხსენებელი:</u> ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - **გიორგი ღურჯუმელიძე** - სამდივნოს თავმჯდომარე

მოგახსენებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის **2023** წლის ბიუჯეტში არსებული საბიუჯეტო პროგრამის (07.01.03) განხორციელების საფუძველს და მარეგულირებელ აქტს წარმოადგენს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2022** წლის **6** ივლისის **N.25** დადგენილებით განსაზღვრული, **,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის"** პროგრამის განხორციელების წესი და ამ წესის (მუხლი: 19) შესაბამისად წარმოგიდგენთ პროგრამის განხორციელების წლიურ ანგარიშს.

პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული/თვითდასაქმებული ოჯახების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები) მხარდაჭერა;

იმ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, აგროტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოებისა და პოპულარიზაციისკენ; ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა; დასაქმების ხელშეწყობა.

პროგრამის დაფინანსების წყარო გახლდათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი **(პროგრამული კოდი 07 01 03)** და პარტნიორი ორგანიზაციიდან **გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)** შემოსული თანხები. სულ პროგრამის ბიუჯეტი იყო **100,000** ლარი.

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის" პროგრამის კოორდინაციის, კონკურსის ორგანიზების, მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შეიქმნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-სამდივნო, რომლის შემადგენლობა განისაზღვრა აღნიშნული პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად. (მუხლი: 5.2)

კონკურსი წარიმართა შემდეგი ეტაპების გავლით და პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე უზრუნველყოფილი იყო გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტით, ბენეფიციართა პერსონალური და კომერციული მონაცემები:

ა) ბიზნეს იდეების კონკურსის გამოცხადება;

ბ) ბიზნეს იდეების მიღება;

გ) ბიზნეს იდეების გადარჩევა;
დ) ბენეფიციარების გადამზადება;
ე) ბიზნეს გეგმების წარდგენა;
ვ) ბიზნეს გეგმების შეფასება;
ზ) გამარჯვებული პროექტების გამოცხადება;
თ) გამარჯვებული პროექტების დაფინანსება;
ი) გამარჯვებული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი;
კ) პროგრამის შეფასება.

პირველი ეტაპი განხორციელდა **2023** წლის **27** ივნისიდან **2023** წლის **26** ივლისის ჩათვლით. ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების თაობაზე განთავსდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე .საპროექტო წინადადების წარდგენა შესაძლებელი იყო როგორც მატერიალურად-კანცელარიაში, ასევე - ელ. ფოსტის - **meriaozurgeti2018@gmail.com** - მეშვეობით.

აღნიშნულ ვადაში შემოვიდა **54 ბიზნეს** იდეა, აქედან **12** -მა ვერ დააკმაყოფილა ბიზნეს იდეების გადარჩევის ძირითადი კრიტერიუმები. (მუხლი: 12.2) რის გამოც შემდეგ ეტაპზე გადავიდა **42** ბიზნეს იდეა. მათ პირისპირ ფორმატში ჩაუტარდა ბიზნეს გეგმის შედგენის, საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმების, ფინანსების, მარკეტინგის შესახებ, ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის თემებსა და სხვა რელევანტურ საკითხებზე სასწავლო პროგრამა. სასწავლო მოდულის ჩატარება უზრუნველყო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მოწვეულმა ექსპერტებმა.

18 აგვისტოდან **1** სექტემბერის ჩათვლით განისაზღვრა ბიზნეს გეგმების შემოტანის ვადა და აღნიშნულ ვადაში ბიზნეს გეგმა წარმოადგინა **39** ბენეფიციარმა. სამდივნოს გადაწყვეტილებით, პროგრამის ბენეფიციართა მიერ წარმოდგენილ ბიზნეს გეგმებში, არსებული რეალური მდგომარეობის აღწერისა და საკონკურსო კომისიისთვის გაცნობის მიზნით, გასვლითი მონიტორინგის ჩატარება და ფოტომასალების წარმოდგენა დაევალა საინვესტიციო განყოფილების სპეციალისტებს.

ბიზნეს გეგმების შეფასების მიზნით შექმნილ პროგრამის საკონკურსო კომისიას, სამდივნოს მიერ, ფორმალური შეფასებისათვის, ელექტრონულად გადაეცა ბიზნეს გეგმები და მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ფოტომასალები.

2023 წლის **25** და **26** სექტემბერს ჩატარდა გასაუბრების ეტაპი **39** ბენეფიციართან. გასაუბრების ეტაპის დასრულების შემდეგ, ფორმალური და გასაუბრებით ეტაპზე შეფასებების საფუძველზე მინიჭებული ქულების რეიტინგული სიის შედეგების მიხედვით ქულათა დაჯამების შედეგად გამოვლინდა **13** სავარაუდო გამარჯვებული:

აღნიშნული პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად, მიმდინარე წლის **23** ოქტომბერს ჩატარდა გასაუბრება, ფორმალური და გასაუბრებით სავარაუდო გამარჯვებულ **13** ბენეფიციართან პროგრამის განხორციელების წესის მე-**17** მუხლის შესაბამისად, კორექტირებული ბიუჯეტის შეთავაზების მიზნით.

1) ,,მარწყვის სასათბურე მეურნეობის მოწყობა"; --12,000 ლარი. მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **14,992** ლარს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **12,000** ლარი.

2) ,,ჟოლოს სასათბურე მეურნეობის მოწყობა";-10,000 ლარი. მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **12,900** ლარს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **10,000** ლარი.

3) ,,ყურძნის წვენის წარმოება";- 10,000 ლარი. მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **14,000** ლარს ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **10,000** ლარი.

4) ,,კალმახა სოკოს წარმოება";- 9500 ლარი. მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **9562** ლარს ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **9500** ლარი.

5) ,, ჟოლოს მეურნეობის განვითარება"; - 8200 ლარი. მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **9500** ლარს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **8200** ლარი.

6) ,,ტურისტული ობიექტის განვითარება'; - 5000 ლარი. მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **6700** ლარს ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **5000** ლარი.

7) **,,სამკერვალო საქმიანობა"; - 3000 ლარი.** მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **5100** ლარს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **3000** ლარი.

8) **,,მარწყვის სასათბურე მეურნეობა"; - 8000 ლარი.** მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **13,500** ლარს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **8000** ლარი.

9) **,,თაფლის სახლი"; - 10,000 ლარი.** მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **12,400** ლარს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **10,000** ლარი.

10) **,,თოჯინებისა და სხვადასხვა აქსესუარების სამკერვალო"; - 5000 ლარი.** მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **7000** ლარს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **5000** ლარი.

11) **,,ჟოლოს პლანტაციის მოწყობა"; - 6000 ლარი.** მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **8500** ლარს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **6000** ლარი.

12) **,, აგრო ტურისტული ობიექტის მოწყობა"; - 5000 ლარი.** მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **12,500** ლარს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **5000** ლარი.

13) **,,ხისა და ბამბუკის სუვერინების დამზადება"; - 8300 ლარი.** მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა **11,154** ლარს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა **8300** ლარი.

გასაუბრების ეტაპზე კომიისის წევრების წინაშე ცამეტივე **(13)** ბენეფიციარმა გამოთქვა თანხმობა კორექტირებული ბიუჯეტის ფარგლებში მათ მიერ შემოტანილი ბიზნეს გეგმების სრულად განხორციელების თაობაზე. რის შემდეგაც მოხდა გამარჯვებულ კანდიდატთა საბოლოო გამოვლენა.

1) **,,მარწყვის სასათბურე მეურნეობის მოწყობა"; --12,000 ლარი.**
2) **,,ჟოლოს სასათბურე მეურნეობის მოწყობა";--10,000 ლარი.**
3) **,,ყურძნის წვენის წარმოება";-- 10,000 ლარი.**
4) **,,კალმახა სოკოს წარმოება";-- 9500 ლარი.**
5) **,, ჟოლოს მეურნეობის განვითარება"; -- 8200 ლარი.**
6) **,,ტურისტული ობიექტის განვითარება"; -- 5000 ლარი.**
7) **,,სამკერვალო საქმიანობა"; -- 3000 ლარი.**
8) **,,მარწყვის სასათბურე მეურნეობა"; -- 8000 ლარი.**

9) ,, თაფლის სახლი"; -- 10,000 ლარი.

10) ,,თოჯინებისა და სხვადასხვა აქსესუარების სამკერვალო"; -- 5000 ლარი.

11) ,,ჟოლოს პლანტაციის მოწყობა“; -- 6000 ლარი.

12) ,, აგრო ტურისტული ობიექტის მოწყობა"; -- 5000 ლარი.

13) ,,ხისა და ბამბუკის სუვერინების დამზადება"; -- 8300 ლარი.

კომისიის გადაწყვეტილებით გამოვლენილმა გამარჯვებულმა კანდიდატმა, (,,კალმახა სოკოს წარმოება";-- 9500 ლარი.) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო უარი განაცხადა გრანტით გათვალისწინებული თანხის მიღებაზე (9500 ლარი);

პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად, ფორმალური და გასაუბრებით ეტაპზე შეფასებების საფუძველზე მინიჭებული ქულების რეიტინგული სიით მომდევნო უპირატესი შედეგების მქონე მონაწილე ბენეფიციართან, რომელი გეგმავდა **ბატონის წარმოება"-ს,** ჩატარდა გასაუბრება, კორექტირებული ბიუჯეტის შეთავაზების მიზნით.

1) ,,ხილის ბატონის წარმოება" - 9500 ლარი. მის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენდა 15,000 ლარს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით შეთავაზებულ იქნა 9500 ლარი. მისი თანხმობის შემდეგ გამოცხადებულ იქნა გამარჯვებულად.

გამარჯვებული 13 ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ საპროექტო ბიზნეს გეგმაში, გამარჯვების შემთხვევაში მათ მიერ აღებული ვალდებულება იყო 85 სამუშაო ადგილის შექმნა. აქვე მინდა დავაზუსტო, რომ 13 გამარჯვებულიდან 9 ქალი განმცხადებელია, რითაც მუნიციპალიტეტმა ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და სოციალურ ინკლუზიას, ასევე დასაქმების ხელშეწყობას.

2024 წლის მუნიციპლიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ეკონომიკური პროგრამების სტიმულირება მუნიციპალურ დონეზე, მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის.